საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №98/ნ
2013 წლის 16 ივლისი

ქ. თბილისი

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ :**

მუხლი 1

„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანების (ვებპორტალი, 18.03.2011, სარეგისტრაციო კოდი – 430210000.22.022.016076) პირველი მუხლით დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევიდეს ცვლილება და:

ა) თავი XVI ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) თავი XVII ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად;

გ) თავი XVIII ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი 3-ის შესაბამისად;

დ) თავი XIX ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **გიორგი მარგველაშვილი**